

## სტანდარტების გერმანული ინსტიტუტი

1917 წელს შეიქმნა ზოგადი მანქანათმშენებლობის ნორმების კომიტეტი, რომელიც გერმანიაში ითვლება სტაბილიზაციის ეროვნული სისტემის შექმნის თარიღად. კომიტეტმა ორჯერ შეიცვალა სახელი: 1926წ. – სტანდარტების გერმანული კომიტეტი და 1975წ. – სტანდარტიზაციის გერმანული ინსტიტუტი (DIN).

ფუძემდებელი სტანდარტი DIN 820 განსაზღვრავს სტაბილიზაციის გერმანული ეროვნული ორგანიზაციის საქმიანობის შემდეგ პრინციპებს:

**ნებაყოფლობითობა** — ხორციელდება ნებისმიერი პირის უფლებით მიიღოს მონაწილეობა სტანდარტის შექმნაში, ხოლო ნორმატიული დოკუმენტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს;

**საჯაროობა** — რეალიზდება სტანდარტების ყველა პროექტის პუბლიკაციით და ყოველი კრიტიკული შენიშვნის მიღებით;

**ყველა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა** — ყველა მონაწილის თანასწორუფლებიანობა იურიდიული პირების სტანდარტიზაციაში;

**ერთიანობა და წინააღმდეგობა** — გამოიხატება სტანდარტიზაციის მთლიანი სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფი წესებისა და პროცედურების დადგენით და ახლად მიღებული სტანდარტების აუცილებელი შემოწმებით მათ შესაბამისობაზე მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან.

**კონკრეტულობა** — მდგომარეობს სტანდარტის აუცილებელ შესაბამისობაში თანამედროვე სამეცნიერო – ტექნიკურ დონესთან;

**ორიენტირება საერთო სარგებლობაზე** — განისაზღვრება შემდეგი წესით: სარგებლობა მთლიანი ქვეყნისათვის პრევალირებს ცალკეული ქვეყნის სარგებლობაზე;

**ორიენტირება ეკონომიკურ რეალობაზე** — მდგომარეობს იმაში, რომ სტანდარტში ჩაიდება მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელი მოთხოვნები, რადგანაც სტანდარტიზაცია არ წარმოადგენს თვითმიზანს;

**სტანდარტიზაციის საერთაშორისო ხასიათი** — DIN-ის საქმიანობა მიმართულია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების ამოსაფხვრელად ევროპაში ბაზრის შექმნისათვის, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გამოყენებაზე.

DIN-ი შედგება ძირითადი ორგანიზაციებისა და შვილობილი ქვედანაყოფებისაგან. მთლიანად ინსტიტუტის შტაბში ირიცხება 750 ადამიანი. DIN-ის წევრებს წარმოადგენენ ფირმები (საწარმოები) ან სხვა დაინტერესებული იურიდიული პირები, აგრეთვე ცალკე სპეციალისტები, მეცნიერები, პრაქტიკოსები. DIN-ის წევრები კრებებზე ირჩევენ პრეზიდიუმს (50 ადამიანს), სადაც შედიან პრეზიდენტი და მისი მოადგილეები, საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე, ინსტიტუტის დირექტორი, აგრეთვე მრეწველობის, მცირე ბიზნესის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, გამოსაცდელი ლაბორატორიების, კონტროლისა და ზედამხედველობის სამსახურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების (მომხმარებელთა კავშირი, პროფკავშირები, ეკოლოგიური საზოგადოებები) და სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლები. სამუშაო ორგანოებია — DIN-ის კომიტეტები, რომლებიც არა მხოლოდ ამუშავებენ ეროვნულ

სტანდარტებს, არამედ უზრუნველყოფენ ტექნიკური კომიტეტების გერმანულ ნაწილს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. კომიტეტებში შედის 40 ათასამდე შტატ-გარეშე თანამშრომელი – ფირმების, ინსტიტუტის, საწარმოებისა და სხვა სპეციალისტები.

გერმანიაში ეროვნული სტანდარტიზაციით მოცულია შემდეგი დარგები: მშენებლობა, ელექტროტექნიკა, ქიმიური წარმოება, ზუსტი მექანიკა და ოპტიკა, ფოტოგრაფია და კინემატოგრაფია, დოკუმენტაცია და საქმისწარმოება, ჯანმრთელობის დაცვა, ატომური ტექნიკა, სოფლის მეურნეობა, საღებავების წარმოება, მანქანათმშენებლობა და გემთმშენებლობა, ავიაცია, სპორტი და დასვენება, საათების, საიუველირო და სტომატოლოგიური საქმიანობა, წყლის მეურნეობა და კანალიზაცია და ზოგიერთი სხვა.

განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება სტანდარტიზაციას საქონლისა და მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გარემოს დაცვის საქმეში და ფუძემდებელი სტანდარტების შექმნას. DIN – ის შვილობილი ორგანიზაციებია – გამომცემლობა “ბოიტი”, DIN – ის საზოგადოება “პროგრამული უზრუნველყოფა”, ნორმატიული დოკუმენტების გამომცემლობა, ინფორმაციისა და პროდუქციის საზოგადოება, ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირების გერმანული საზოგადოება, პროდუქციის ნიშანდების გერმანული საზოგადოება. მათ ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საქმეების, საგამომცემლო საქმიანობისა და ინფორმაციის ინსტიტუტის სათაო განყოფილება. ეროვნული გერმანული სტანდარტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და განიხილება არა როგორც იურიდიული ნორმები, არამედ, როგორც “ტექნიკის საყოველთაოდ აღიარებული წესები”. წარმოების სფეროში სტანდარტების გამოყენება ითვლება უზადო ტექნიკური ყოფაქცევის ზომად. სავალდებულო ხასიათს ეროვნული სტანდარტი ღებულობს მაშინ, თუ ის ვრცელდება ისეთ სფეროებზე, სადაც მოქმედებენ ფედერალური საკანონმდებლო ნორმები. ინსტიტუტსა და მთავრობას შორის დადებულია შეთანხმება, რომლის შესაბამისად DIN-ი ვალდებულია მოქმედებდეს მთლიანი საზოგადოების ინტერესებში და შეიტანოს წვლილი ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების ამოსაფხვრელად და აგრეთვე შრომის, მომხმარებელთა და გარემოს დაცვაში. ასე, ტექნიკური მოწყობილობების უსაფრთხოების შესახებ კანონის მიღების შემდეგ (1980წ.) ეროვნული სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მიღებულ იქნა DIN-ის მიერ მთავრობასთან თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში და მოცემული კანონის განსავითარებლად, აუცილებელი გახდა, როგორც სამრეწველო პროდუქციის გერმანული დამამზადებლებისათვის, ასევე იმპორტიორებისათვის.

ანალოგიური როლი შეასრულა სამთავრობო დადგენილებამაც სამედიცინო ხელსაწყოების უსაფრთხოების შესახებ, რომელიც გამოიყენება, როგორც კვლევით, ასევე სამკურნალო მიზნით. როდესაც ძალაში შევიდა კანონი გარემოს დაცვის შესახებ (1980წ.), წყლისა და ატმოსფეროს სისუფთავეზე და ხმაურის დასაშვები დონის მოთხოვნებზე სტანდარტები გადაიქცა სავალდებულო იურიდიულ ნორმად. სტანდარტები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში სავალდებულო გახდა კვების პროდუქტებისა და მასობრივი მოხმარების საქონელზე კანონის საფუძველზე.

DIN-ის საქმიანობა ფინანსირდება დაინტერესებულ მხარეებთან – ნორმატიული დოკუმენტების დამკვეთებთან, ხელშეკრულების საფუძველზე. ასე, მაგალითად, 90-იანი წლების პირველ ნახევარში გერმანულ მეტალურგთა კავშირმა გადაიხადა 20 მლნ. მარკა თავისი დარგის სტანდარტების შემუშავებაზე. ბიუჯეტის ხარჯვითი მუხლები 64%-ზე იფარება შემოსავლებით საგამომცემლო საქმიანობიდან, 18%-ზე – შემკვეთების შენატანებიდან. სახელმწიფო ორგანოების დოტაციები შეადგენენ 18%-ს.

